დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მუშა მეხსიერებისა და ყურადღების კონცენტრაციის გავლენა აკადემიური მოსწრებასა და წერა-კითხვის უნარზე

მარიამ ლაცაბიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნათა შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ლაცაბიძე.

აბსტრაქტი

მუშა მეხსიერების მიერ ხდება ჩვენი ფსიქოლოგიური აწმყოს შეჩერება. ის არის მენტალური სამუშაო სივრცე, რომელსაც ვიყენებთ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესანახად გონებრივი აქტივობისას ყოველდღიურ ცხოვრებაში: სწავლასა და პროფესიულ საქმიანობაში ყურადღების კონცენტრირებისთვის, ხელისშემშლელი სტიმულების ბლოკირებისა და გარემოზე კონტროლის შესანარჩუნებლად. ყურადღებაა ის კოგნიტური უნარი, რომლის საშუალებითაც ხდება ცნობიერების შევიწროება და წარმართვა ობიექტზე, ის ცნობიერების ცენტრალური არეა. ყურადღება და მუშა მეხსიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დაწყებით საფეხურზე წერა-კითხვის უნარების ფორმირებაში, რაც ზოგადად გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და მის შემდგომ წარმატებებზე, რაც ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბების საწინდარია (Gathercole S, Alloway T. P,. (2007).

მოცემული კვლევის მიზანი იყო ქართულენოვანი სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მუშა მეხსიერებისა და ყურადღების კონცენტრაციის გავლენის შესწავლა აკადემიურ მოსწრებაზე და განსაკუთრებით, წერა-კითხვის უნარის განვითარებაზე, რათა განგვესაზღვრა აკადემიური წარუმატებლობის, რომლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ბაზისური აკადემიური უნარების განვითარების სირთულე, პრევენციისა და ინტერვენციის შესაძლო გზები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 60 მოსწავლემ: 30 მეორე კლასელი და 30 მეხუთე კლასელი. მუშა მეხსიერების საკვლევად გამოვიყენე ვექსლერის ტესტის საბავშვო ვარიანტის რიცხვების გამეორების სუბ-ტესტი. ყურადღების მდგრადობისა და გადანაცვლების საკვლევად შულტეს ცხრილები. წერა-კითხვის უნარის შესაფასებლად კი G-PRID-ის სასწავლო მეთოდოლოგიური მიდგომა და რესურსების კრებული. აკადემიური მოსწრება საკლასო ჟურნალის (მე-5 კლასი) და პედაგოგის სავარაუდო შეფასებით ათქულიანი სისტემის გათვალისწინებით (მე-2 კლასი).

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემიურ მოსწრებასა და წერა-კითხვას შორის არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, მაგრამ საშუალოზე დაბალი პოზიტიური კავშირი. მუშა მეხსიერება აკადემიურ მოსწრებასა და წერა-კითხვასთან

არის მნიშვნელოვან დადებით კავშირში. ყურადღება წერა-კითხვასთან არის უარყოფით კორელაციაში, მაგრამ აკადემიურ მოსწრებასთან არ მოვიდა კორელაციურ კავშირში.

საძიებო სიტყვები: მუშა მეხსიერება, ცენტრალური აღმასრულებელი, ფონოლოგიური ყულფი, ლექსიკური მარაგი.

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ თინათინ ჭინჭარაულს იმ ღვაწლისთის, რაც ჩემი ნაშრომის შექმნაში მიუძღვის. სკოლის დირექციას, თითოეულ პედაგოგს და სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით იღებდნენ მონაწილეობას კვლევაში. მადლობას ვუხდი თანაკურსელებს, რადგან როგორც ერთი გუნდი, ისე იყო შეკრული და ნებისმიერ ინფორმაციას უშურველად გასცემდა. ოჯახის წევრებს, რომლთა თანადგომაც შეუფასებელია ნაშრომისკენ მიმავალ გზაზე.